ცხოველთა სამყაროს ობიექტების (სანადირო სახეობების) მარაგის შესახებ ფაქტიურად არ არსებობს აქტუალური მონაცემები. 1983 წლის მონაცემები არის ბოლო ოფიციალური ინფორმაცია. მაშინდელი მონაცემებით დაფიქსირებულია ჩლიქოსნების 35.620 ინდივიდი, აქედან 2.160 ირმისებრნი, 4.890 გარეული ღორი, 11.730 შველი და 16.840 სხვა ჩლიქოსნები (სავარაუდოდ არჩვი, ჯიხვი და ჯეირანი, რომლებიც ქვეყანაში უკვე გადაშენებული სახეობებია).

გარეულ ცხოველთა სამყაროს მკვეთრი რაოდენობრივი კლების ძირითად მიზეზად ყველა პირველ რიგში ბრაკონიერობას ასახელებს. ისეთ მტაცებლებს კი, როგორცაა თითქმის ყველგან გავრცელებული მგელი და ტურა, მხოლოდ მეორეხარისხოვან როლს ანიჭებენ. შემდეგ მიზეზად გამოყოფენ აგრეთვე ძვირფასი ჰაბიტატების დაკარგვას. მეორე მხრივ კი საქართველოს უეტყველად გააჩნია ცხოველთა სამყაროს ობიექტების მრავალფეროვანი და ხელსაყრელი საბინადრო გარემო. შესაძლებელია, რომ გარეულ ცხოველთა მარაგი ნავარაუდებ მონაცემებზე უფრო დიდია, მაგრამ მათი პოპულაციები საბინადრო გარემოს შესაძლებლობებთან შეფარდებით მცირერიცხოვანია.

საქართველოში სამართლებრივი კონტექსტის მიხედვით ცხოველთა სამყაროს ობიექტები (ძუძუმწოვრები და ფრინველები) დაყოფილი არიან შემდეგ კატეგორიებად:

სანადირო სახეობები	ნადირობა დაშვებულია მხოლოდ სამონადირეო მეურნეობებში.
გადამფრენი ფრინველები	ნადირობა დაშვებულია ყველგან.
წითელი ნუსხის სახეობები	ნადირობა აკრძალულია
სხვა სახეობები	ნადირობა აკრძალულია, დაცული სახეობა.

2.1 ძუძუმწოვრები

ძუძუმწოვრების ცალკეულ სახეობებზე მოძიებული ინფორმაცია (წნ: წითელი ნუსხით დაცული სახეობა):

კავკასიური (კეთილშობილი) ირემი (*Cervus elaphus* Linnaeus): წითელი ნუსხის სახეობა (ქვესახეობა *Cervus elaphus* Maral). შემორჩენილია 3 პოპულაცია: 60, 15 და 200 ინდივიდი (ბოლოს ნახსენები პოპულაცია დაღესტანის საზღვართან). სამონადირეო მეურნეობების მფლობელებს სურთ თავიანთ მეურნეობებში ირმისებრთა მოშენება, მაგრამ მათი დაჭერა, წითელი ნუსხის სტატუსის გამო, აკრძალულია.

ჯიხვი: წითელი ნუსხის სახეობა. სამი სახეობა (დასავლეთკავკასიური ჯიხვი (*Capra caucasica*) 500, აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვი (*Capra cylindricornis*) დაღესტნური ჯიხვი 4 – 5.000, ნიამორი (*Capra aegagrus*) <100 ინდივიდი). ადგილობრივი მოსახლეობისათვის ტრადიციული (თუმცა არალეგალური) ნადირობის ობიექტი და ქალაქელი მონადირეებისათვის სატროფეო ინდივიდი (დროდადრო ვერტმფრენებით ნადირობა).

არჩვი (ფსიტი) (*Rupicapra rupicapra*): წითელი ნუსხის სახეობა. მონაცემები არ არსებობს.

შეელი (*Capreolus capreolus*): სანადირო სახეობა, მონაცემები არ არსებობს.

ჯეირანი (*Gazella subgutturosa*): წითელი ნუსხის სახეობა, გადაშენებულია, მიმდინარეობს მისი აღდგენის პროგრამის განხორციელება ერთ-ერთ დაცულ ტერიტორიაზე (აღმოსავლეთის რეგიონში).

გარეული ღორი (*Sus scrofa*): სანადირო სახეობა, მონაცემები არ არსებობს.

მურა დათვი (*Ursus arctos*): წითელი ნუსხის სახეობა. რაოდენობა 600 – 1.000, არალეგალური ნადირობის მსხვერპლია წელიწადში სავარაუდოდ 200 ინდივიდი. მდებრი დათვის მოკვლისას შემთხვევით ცოცხლად დარჩენილ ბელებს კი იჭერენ და გალიებში ათავსებენ.

მგელი (*Canis lupus*): სანადირო სახეობა, გავრცელებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. დაახლოებით 2.000 ინდივიდი.

ევროპული კურდღელი (*Lepus europaeus*): სანადირო სახეობა, სტატუსი უცნობია.

და გარდა ამისა სხვა ძუძუმწოვრები, რომლებიც ნაკლებად საინტერესო სახეობებია ნადირობისათვის, როგორცაა: ტურა (*Canis aureus*), მელა (*Vulpes vulpes*), კლდის კვერნა (*Martes fiona*), ტყის კვერნა (*Martes martes*), ნუტრია (*Myocastor coypus*), ტყის კატა (*Felis silvestris*), ენოტისებური ძაღლი (*Nyctereutes procyonoides*), ენოტი (*Procyon lotor*).

2.2 ფრინველები

რუხი ბატი (*Anser anser*); გარეული იხვი (*Anas platyrhynchos*), ჭიკვარა (*Anas crecca*), რუხი იხვი (*Anas strepera*), იხვინჯა (*Anas querquedula*), ბოლოსადგისა იხვი (*Anas acuta*), ფართოცხვირა (*Anas clypeata*); მელოტა (*Fulica atra*), წყლის ქათამი (*Gallinula chloropus*).

ხოხობი (*Phasianus colchicus*), გნოლი (*Perdix perdix*), მწვერი (*Coturnix coturnix*), კაკაბი (*Alectoris graeca*).

ტყის ქათამი (*Scolopax rusticola*), ჩიბუხელა (*Lymnocyptes minimus*), ჩიბუხა (*Gallinago gallinago*).

ქედანი (*Columba palumbus*), გარეული მტრედი (*Columba livia*), გულიო (*Columba oenas*), ჩვეულებრივი გვრიტი (*Streptopelia turtur*).

არსებობს ხოხობის რეინტროდუქციის მიზანსწრაფვა. ამას გარდაუვალ შედეგად მოყვება ხოხობის ავტოხტონური სახეობის *Phasianus colchicus* ჰიბრიდიზაცია.

ნათლად არ არის გარკვეული ტერმინი „გადამფრენ ფრინველთა სახეობები“. მათზე დაშვებულია ნადირობა. გადამფრენი ფრინველები განსაკუთრებულ როლს თამაშობენ ნადირობის სექტორში. „გადამფრენ ფრინველებზე ნადირობა“ წყალმცურავ და მენაპირე ფრინველების სახეობებს მოიცავს და ნადირობის ეს სფერო ტენიანი ტერიტორიებითა და ზღვის სანაპირო ზოლით შემოიფარგლება. ხმელეთის ფრინველთა სახეობებიდან აღსანიშნავია მწვერი (*Coturnix coturnix*). სხვა ქვეყნებში (განსაკუთრებით კი იტალიაში) მწვერი ნადირობის პოპულარული და აღიარებული ობიექტია გარეულ ფრინველებზე მონადირეებში.

საქართველოში წინა საუკუნის 90-იან წლებში, ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, როდესაც პოპულაციების რიცხვმა კატასროფული კლება განიცადა და ზოგიერთი სახეობა გადაშენდა, ან გადაშენების უკიდურესი საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა, შემუშავდა და შეიქმნა წითელი ნუსხა. ვინაიდან საქართველოში წითელი ნუსხის სახეობებზე ნადირობა აკრძალულია, სხვა დანარჩენი ძუძუმწოვრების ამჟამინდელი მარაგი არახელსაყრელია ნადირობისათვის: ძალიან მწირია შველის პოპულაცია, რაშიც დიდ როლს თამაშობს არა მარტო ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული ბრაკონიერობა,

არამედ მტაცებლებიც (მგელი, ტურა). მსგავსი მდგომარეობაა გარეული ღორის პოპულაციაშიც.

2.3 რეზიუმე

- არსებული ყველა ინფორმაცია მიგვითითებს ნადირობისათვის საინტერესო სახეობების მწირ მარაგზე.
- ჩლიქოსანთა ყველა სახეობა (გამონაკლისი: შველი და გარეული ღორი) შეტანილია წითელ ნუსხაში და ყველგან აკრძალულია მათზე ნადირობა.
- გარეულ ღორზე, შველზე და ყველა მტაცებელ ცხოველზე (მგელი, ტურა, მელა, კვერნა და ა.შ.) ნადირობა დაშვებულია მხოლოდ სამონადირეო მეურნეობებში (ე.ი. დაახლოებით 30.000 ჰა-ზე).
- მცირერიცხოვანი და უმნიშვნელო ფართობის მქონე სამონადირეო მეურნეობების ფარგლებს გარეთ ნადირობა ნებადართულია მხოლოდ გადამფრენ ფრინველებზე (გადამფრენ ფრინველებზე ნადირობა დაშვებულია ყველგან). მტაცებელ ცხოველებზე ნადირობა სამონადირეო მეურნეობების ფარგლებს გარეთაც კი იკრძალება.

3. ნადირობის სექტორის ამჟამინდელი მდგომარეობა

საქართველო წარსულში ცნობილი იყო გარეულ ცხოველთა სამყაროს მრავალფეროვნებითა და მდიდარი მარაგით. ქვეყანაში ნადირობას მრავალწლიანი ტრადიცია აქვს. ამ ფაქტზე მეტყველებს ისიც, რომ საქართველოში ჯერ კიდევ 110 წლის წინ ჩამოყალიბდა მონადირეთა კავშირი, რომელშიც 80.000 წევრი იყო გაერთიანებული. როგორც ჩანს, სანამ საქართველო საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყანა იყო, ნადირობის სექტორის სისტემა მკაცრად იყო ორგანიზებული. 1991 წელს მოპოვებული დამოუკიდებლობის შემდეგ მოხდა არსებული სტრუქტურების დაკარგვა. ქართული ნადირობის სექტორის დღევანდელი მდგომარეობის დასახასიათებლად შესაძლოა პარალელები გავავლოთ გერმანიაში, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში (1848 წლის რევოლუციის შემდეგ) და იტალიაში მეოცე საუკუნის დასაწყისში ნადირობის სექტორში არსებულ ვითარებასთან – ეს იყო მოშლილი ადმინისტრაციული გარემო და გარეულ ცხოველთა ობიექტების თითქმის გამქრალი მარაგი.

3.1 მონადირეთა კავშირი

ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ქართველი მონადირეები გაერთიანებული იყვნენ მონადირეთა კავშირში, რომელიც ჩამოყალიბდა მეოცე საუკუნის დასაწყისში და დაახლოებით 70.000 წევრს აერთიანებდა (ამას ემატებოდა 10.000 მეთევზე). ეს არის შედარებით მაღალი ორგანიზაციული საფეხური (შედარებისათვის: ბავარიაში, რომლის მოსახლეობაც საქართველოს მოსახლეობას ორჯერ აღემატება, სახელმწიფო

მონადირეთა კავშირი აერთიანებს 40.000 წევრს). 1996 წელს მიღებული ნადირობის მარეგულირებელი კანონის შედეგად (საქართველოს კანონი „ცხოველთა სამყაროს შესახებ“) მონადირეთა კავშირმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა და ფუნქცია. მონაკავშირის წევრთა რიცხვი 20.000-მდე შემცირდა (პლიუს 10.000 მეთევზე). (აღსანიშნავია ის, რომ ჩემი საქართველოში ვიზიტის პერიოდში არც ერთ შეხვედრაზე არ იყვნენ მოწვეული მონადირეთა კავშირის წარმომადგენლები. ამიტომ ამ მოხსენებაში მოყვანილი მონაცემები და ინფორმაციები ნადირობის სექტორის ორგანიზაციის შესახებ არ არის ინფორმაცია „პირველი ხელიდან“).

ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, რომლებსაც კარგად ფუნქციონირებადი და დახვეწილი ნადირობის სექტორი გააჩნიათ, მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ მონადირეთა კავშირებს. მათ კომპეტენციაში შედის მონადირეთათვის სასწავლო-საგანმანათლებლო კურსებისა და პროფესიული დონის ასამაღლებელი ტრენინგების შეთავაზება, პროფესიული ვარჯისობის გამოცდების ჩათვლით (სამონადირეო საგნებში, სანადირო იარაღის მოხმარების წესებში, მონადირე ძაღლების გაწვრთნასა და მონადირე ძაღლებით ნადირობაში). აღნიშნული მონადირეთა კავშირები შეიმუშავენ გარეულ ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის მენეჯმენტის გეგმებს, ისინი პასუხისმგებელი არიან სამონადირეო მეურნეობების მოწყობაზე და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხში. მონაკავშირები გამოდიან გარეულ ცხოველთა სამყაროს ობიექტების ადვოკატებად სხვა დაინტერესებული ჯგუფების წინაშე (მაგალითად: სოფლის მეურნეობის მფლობელების, ტყის მფლობელების, ტურისტული ორგანიზაციების და ა.შ.). საქართველოს მოსახლეობის ნადირობით დაინტერესებულ ნაწილს არ გააჩნია ძლიერი წარმომადგენელი ამ სექტორში.

3.2 მონადირეები

საქართველოში მონადირეებს არ ესაჭიროებათ ნადირობისა და ცეცხლსასროლი იარაღის ტარებისათვის პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ქონა. არ არსებობს მონადირეთა საგანმანათლებლო ბაზა, შესაბამისი გამოცდისა და ცეცხლსასროლი იარაღის მოხმარების სწავლების შესაძლებლობა. ნადირობის მსურველებს მოეთხოვებათ, რომ ჰქონდეთ ნადირობისათვის აუცილებელი იარაღის ფლობის ნებართვა, იყვნენ მინიმუმ 18 წლის და გააჩნდეთ ნადირობის უფლება, რომელსაც ბანკები გასცემენ. (მთარგმნელის შენიშვნა: ბანკების მიერ გაცემულ ნადირობის უფლებაში ავტორი გულისხმობს, რომ გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის მსურველი ბანკში იხდის ამისათვის სპეციალურად დაწესებულ მოსაკრებელს და გადახდის დამადასტურებელი ქვითარი არის ამ შემთხვევაში გადამფრენ ფრინველებზე ლეგალური ნადირობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ნადირობის მსურველებმა უნდა გაითვალისწინონ სანადირო სახეობებზე დაწესებული ლიმიტი, რომელსაც არ უნდა გადააჭარბონ).

იარაღის ფლობის ნებართვის მოპოვებისათვის აუცილებელი წინაპირობებია: აღნიშნული ნებართვის მოპოვების მოსურნე პირი არ უნდა იყოს შემწნეული კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში და იგი უნდა იყოს მინიმუმ 16 წლის. იარაღის ტარების

უფლების მოპოვება ხდება ნადირობის ნებართვის მოპოვებით. საჭიროების, ან უნარიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქონა აუცილებლობას არ წარმოადგენს. ქვეყანაში ფართოდ არის გავრცელებული იარაღის ფლობა.

ნადირობა, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობისათვის, ძველ ტრადიციას წარმოადგენს და დიდია მისდამი ინტერესი. ხოლო, რაც შეეხება ცოდნის ხარისხს გარეული ცხოველების, ნადირობის სფეროსა და მისი მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის შესახებ, ძალიან დაბალია. მატულობს სანადირო იარაღით მომხდარი უბედური შემთხვევების რაოდენობა.

ახლანდელ დროში იზრდება აგრეთვე ე.წ. „ქალაქელი მონადირეები“-ს წილი. ისინი ნადირობას მიიჩნევენ არა როგორც ტრადიციულ დასაქმებად, არამედ სპორტულ-სამოყვარულო სახეობად.

3.3 ნადირობის სექტორის სისტემა

რთულია ამჟამად საქართველოში პრაქტიცირებული ნადირობის სექტორის სისტემისათვის რომელიმე ფართოდ გავრცელებული და აღიარებული კატეგორიის მინიჭება. სამონადირეო მეურნეობების მოწყობა ჯერ საწყის ეტაპზეა, დაახლოებით 30.000 ჰა ფართობი გადანაწილებულია 23 მეურნეობაზე. გაურკვეველია, მოხდება თუ არა მომავალში ახალი სამონადირეო მეურნეობების შექმნა (ამის თაობაზე იხილეთ შემდეგი აბზაცი). ნადირობის სექტორის მთელ ფართობზე ძირითადად გაბატონებულია მოუწესრიგებელი და დაურეგულირებელი ნადირობა - დაწესებული კვტებისა და ლიმიტის დარღვევით და ნებადართული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ (უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორიულად შეზღუდული არ არის მხოლოდ გადამფრენ ფრინველებზე ნადირობა). სამონადირეო მეურნეობებისაგან ელიან ცხოველთა სამყაროს ობიექტების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სამონადირეო მეურნეობების (ოფიციალურ დოკუმენტებში ამ ტერმინის ინგლისურენოვანი თარგმანის ვარიანტებია: hunting farms, hunting economy, hunting area, hunting reserve, and hunting range) შექმნა არის თანამედროვე ტენდენცია, რომელიც შემოდებულია 1996 წლიდან, „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ ახალი კანონის დამტკიცების შედეგად. ამ იდეის თავდაპირველი მიზანი იყო, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით, სამონადირეო მეურნეობების მფლობელების წახალისებისა და მოტივირების თვალსაზრისით, მომხდარიყო სამონადირეო სავარგულების გამოყოფა. მეურნეობის მფლობელები დაინტერესდებოდნენ გარეული ცხოველების აღწარმოებით, სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიებზე კონტროლის მექანიზმის განხორციელებით და მომგებიანი სატროფეო ნადირობის განვითარებით. სატროფეო ნადირობის განვითარებით ქვეყნის ხელისუფლება იმედს ამყარებს ფინანსური შემოსავლების ზრდაზე (სატროფეო ნადირობის მოყვარული მდიდარი მონადირეები და სამონადირეო ტურიზმი). ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით ხშირად ხდება აზერბაიჯანის მაგალითის დასახელება, სადაც როგორც ჩანს ყვავის სამონადირეო ტურიზმი (ჯიხვებზე). სატროფეო ნადირობის შესახებ იხილეთ შემდეგი ქვეპუნქტი.

სამონადირეო სავარგულებს გასცემს სახელმწიფო ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე ლიცენზიის სახით, დაახლოებით 20 წლის ვადით. კონკურსისა და აუქციონის წესით ლიცენზიის გაცემის მიზანია კორუფციის თავიდან აცილება, მაგრამ ლიცენზირების ასეთი ფორმა მხოლოდ ფინანსურად შეძლებული პირებისათვის არის ხელმისაწვდომი. სამონადირეო მეურნეობის შესაქმნელად გამოყოფილი სავარგულებისათვის გათვალისწინებულია მხოლოდ ტყით დაფარული ტერიტორიები. აღნიშნული ტერიტორიები (ფაქტიურად ყველა, გამონაკლისი იშვიათია) არის სახელმწიფოს საკუთრებაში. ორი ასეთი სამონადირეო მეურნეობა განლაგებულია მე-IV კატეგორიის დაცულ ტერიტორიაზე. ნადირობისათვის აუცილებელი წინაპირობაა მენეჯმენტის გეგმის ქონა (რაც გერმანიაში არსებული Abschussplan-ის მსგავსია). მენეჯმენტის გეგმით შეფასებულ უნდა იქნას გარეულ ცხოველთა სამყაროს ობიექტების აქტუალური მდგომარეობა (მარაგი) და განისაზღვროს ნადირობის ობიექტებს მიკუთვნებული სახეობებისათვის ნადირობის კვოტები და ლიმიტი. შესაბამის ნებართვას გასცემს სამინისტრო.

ამჟამად შექმნილია 23 სამონადირეო მეურნეობა (ტერიტორიის მთელი ფართობი დაახლოებით 30.000 ჰა, ცალკეული მეურნეობების ფართობი 300 – 7.000 ჰა-მდე, საშუალო მაჩვენებელია 1.200 ჰა). აქედან 19 მეურნეობა ფორმირებულია ხმელეთის ტერიტორიაზე, 4 კი, წყლით დაფარულ ფართობებზე, წყალმცურავ და მენაპირე ფრინველებზე ნადირობისათვის. 2009 წელს ზემოხსენებული 19 მეურნეობიდან მხოლოდ სამს ჰქონდა შემუშავებული მენეჯმენტის გეგმა. სამონადირეო მეურნეობებში ნადირობის ვადებისა და სანადირო სეზონის დახურვის განსაზღვრა შედის ამ მეურნეობების მფლობელების კომპეტენციაში.

სამონადირეო მეურნეობებზე მოსალოდნელი მოთხოვნილება აშკარად ფუჭი იმედი აღმოჩნდა. ნათელი არ არის ამის გამომწვევი მიზეზები, თუმცა გარეულ ცხოველთა მარაგის სიღარიბე, ნადირობის ობიექტებს მიკუთვნებული სახეობებისა (ე.ი. სახეობები, რომლებიც წითელ ნუსხაში არ არის შეტანილი) და სატროფეო ნადირობისათვის ტიპური ინდივიდების მწირი რაოდენობა არ წარმოადგენს ნადირობისათვის დიდ სტიმულს. სამონადირეო მეურნეობების მფლობელები თავიანთი უფლებებისა და ინტერესების განხორციელებისათვის სათანადო მხარდაჭერის არარსებობაზე საუბრობენ (მაგალითად, ბრაკონიერების წინააღმდეგ ბრძოლა, ხე-ტყის კანონიერი და არაკანონიერი ჭრისაგან მეურნეობების დაცვა და წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების მოშენება, მაგ. კეთილშობილი ირემი). მათ სურთ სატროფეო ნადირობიდან მიღებული შემოსავლების სრული ბატონპატრონობა და არ უნდათ სახელმწიფოსთან ან სახელმწიფოს ნადირობის სექტორთან მათი გაყოფა. შესაძლებელია, რომ ზოგიერთ ლიცენზიანტს, სამონადირეო სავარგულების დაუფლებისას, აღნიშნული ტერიტორიისადმი სხვა ინტერესები ამოძრავებს, მაგრამ ამ ვარაუდის კონკრეტული და საფუძვლიანი გამოძიება შეუძლებელი იყო. სამონადირეო მეურნეობების მფლობელებზე ვრცელდება საგადასახადო და სხვა მრავალი შეღავათი.

გერმანიასა და ავსტრიაში 1848 წლის რევოლუციის შემდეგ, რამაც (დღევანდელი საქართველოში არსებული სიტუაციის მსგავსად) ნადირობის სექტორის მოშლა გამოიწვია, ჩამოყალიბდა სამონადირეო მეურნეობების სისტემა. ამ სისტემამ ორივე

ქვეყანაში უდაოდ ხელი შეუწყო ჩლიქოსნების მკვეთრად შემცირებული რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას. სამონადირეო მეურნეობის სისტემის დამახასიათებლებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ მათ თითქმის სრული ავტონომია გააჩნიათ. ნადირობის სექტორის სხვა სისტემებმაც შეძლეს ფაქტიურად განადგურებული გარეული ცხოველების სახეობების მდგომარეობის გაუმჯობესება (მაგალითად, შვეიცარიის პატენტით ნადირობის სისტემამ, სამხრეთ ტიროლის ნადირობის სისტემამ, რომელიც ყველაზე უკეთ მონადირეთა კავშირის სისტემის ჩარჩოში ჯდება).

საქართველოს ამჟამინდელ სიტუაციაში არსებული გარემოებების ერთობლიობა იმდენად არახელსაყრელია, რომ შეუძლებელია მოხდეს სამონადირეო მეურნეობებმა გარეულ ცხოველთა სამყაროს მდგომარეობის, ან ნადირობის სექტორის გაუმჯობესება. გარეულ ცხოველთა მარაგის გაუმჯობესებისათვის სამონადირეო მეურნეობების მოცულობა ძალიან პატარაა, ისინი არ არიან დაცული ბრაკონიერებისაგან. მხოლოდ რამოდენიმე ცალკეული სახეობისათვის არის მოსახერხებელი მარაგის ზრდის მიღწევა (მაგალითად, გარეული ღორის პოპულაციის ზრდა ხილის მოშენებითა და მისატყუებელი კვების ფორმების დახმარებით). ამისათვის აუცილებელი წინაპირობაა სამონადირეო მეურნეობის საზღვრების ახლომახლო გარეული ღორის საკმარისი რაოდენობით არსებობა. შეუძლებელია ასეთი სახით მიზიდულ ნადირის შეაფერხება მეურნეობის ტერიტორიის ფარგლების დატოვებისას. ამიტომაც, ახლავე მიმდინარეობს მსჯელობა იმის შესახებ, რომ მოხდეს ასეთი მეურნეობების შემოღობვა. მსგავსი ქმედებით ეს მეურნეობები სრულიად დაკარგავენ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და აღდგენის ფუნქციას. ისინი გახდებიან სამონადირეო გალიები.

3.4 სატროფეო ნადირობა

საქართველოში ამჟამად შეუძლებელია სატროფეო ნადირობის განვითარება, ვინაიდან სატროფეო ნადირობისათვის ყველა ტიპური სახეობა წითელ ნუსხაშია შეტანილი. თუ არ გავითვალისწინებთ, რომ წითელი ნუსხის სახეობებზე ნადირობა აკრძალულია და ცხოველთა სამყაროს მარაგის შესახებ არსებული მონაცემები უტყუარია, მაშინ წარმოსადგენია აღმოსავლეთ კავკასიურ ჯიხვზე (*Capra cylindricornis*; პოპულაცია დაახლოებით 4 – 5.000 ინდივიდი) სატროფეო ნადირობის განვითარება (მოსალოდნელი შედეგების შესახებ: იხილეთ ქვემოთ).

არჩვის (წითელი ნუსხის სახეობა) შესახებ დეტალური მონაცემები ხელმიუწვდომელი იყო. შესაძლოა არჩვის პოპულაციის სტატუსის მიხედვით დაშვებული იქნას ზომიერი სატროფეო ნადირობა.

ირმის (წითელი ნუსხის სახეობა) პოპულაცია სატროფეო ნადირობისათვის ძალიან მწირია.

სატროფეო ნადირობის მოყვარულთა ინტერესს გარეული ღორის პოპულაციებიდან გამოიწვევდა საქართველოში გავრცელებული ძლიერი მამრი ინდივიდები. აღნიშნულ მამრ ინდივიდებზე ნადირობის ორგანიზება რთულია მათი იშვიათობის გამო. ასეთი ნადირობა მოითხოვს ინდივიდების დიდ რაოდენობას.

დათვის (წითელი ნუსხის სახეობა) პოპულაციებმაც შესაძლოა საშუალება მოგვცეს (თუკი რა თქმა უნდა დაფიქსირებული პოპულაციის რიცხვები 600 – 1.000 რეალურია), რომ განვითარდეს შეზღუდული სახის ნადირობა. ამ სახეობის თითოეულ მოკლულ ინდივიდს აქვს სატროფეო რანგი. არსებობს ვარაუდი, რომ წელიწადში 100 – 200 დათვი ბრაკონიერობის მსხვერპლი ხდება. მსგავსი კლების რაოდენობრივი მაჩვენებელი დათვის პოპულაციების სწრაფ გადაშენებას გამოიწვევდა. დაფიქსირებული რიცხვები, განსაკუთრებით კი ამ (დათვის) შემთხვევაში, ვარაუდი უფროა, ვიდრე რეალური შეფასება.

არც ამჟამად და არც ახლო მომავალში საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილში, არ არის მოცემული საკმარისი წინაპირობები სატროფეო ნადირობის განვითარებისთვის. შესაძლოა, რომ სამხრეთ კავკასია (არჩვით და ჯიხვით) ამ შემთხვევაში გამონაკლისს წარმოადგენდეს. არ მოხერხდა სამხრეთ კავკასიაში არსებული მდგომარეობის დაწვრილებით შესწავლა, ამიტომ შემდგომი განმარტებები წარმოადგენენ საუბრებიდან მიღებულ გადაუმოწმებელ ინფორმაციას. ჯიხვის გავრცელების არეალში მამრ ჯიხვზე ნადირობა ადგილობრივი მოსახლეობისათვის მრავალწლიანი ტრადიციის ხასიათს ატარებს. ხსენებულ რეგიონებში განვითარებული იყო ფრთხილი ნადირობა, რომელიც წარსულში ჯიხვის პოპულაციას საფრთხეს არ უქმნიდა. ეს ალბათ იმიტომ, რომ ნადირობისას უფრთხილდებოდნენ მდებარე ინდივიდებს და ნადირობის პროცესის განხორციელებისას ყურადღება ექცეოდა ჯიხვების საკმარისი მარაგის შენარჩუნებას.

ქალაქელ და უცხოელ მონადირეთათვის სატროფეო ნადირობის დანერგვითა და განვითარებით გაჩნდება არსებული კონსერვატიული სისტემის მოშლის საშიშროება. ადგილობრივი მონადირეები ვერ შეეგუებიან უცხო მონადირეების მიერ ფულის გამო მათგან დაცული ნადირის მოკვლის ფაქტებს. სატროფეო ნადირობის შემოღებას გარდაუვალ შედეგად მოყვება აღნიშნული ინდივიდებისათვის ნადირობის კვოტების ზრდა და მათი პოპულაციების საფრთხეში ჩაგდება. მაღალმთიანი რაიონების ადგილობრივი მოსახლეობა ჯიხვებს (მცირე მოცულობით ალბათ არჩვსაც) თვლის „პირად“ საკუთრებად.

გრძელვადიანი ამოცანა

საქართველოს ნადირობის სექტორში დღესდღეობით არსებული ვითარება არ არის დიდი იმედის მომცემი. ყველაზე უმთავრესი და საკვანძო პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მნიშვნელოვანი ინსტიტუციები და პასუხისმგებელი პირები იმედდაკარგულნი არიან სიტუაციის უპერსპექტივობის გამო: რას მოიტანს ზრუნვა გარეულ ცხოველთა სამყაროს მდგომარეობაზე, როდესაც იგი პრაქტიკულად აღარ არსებობს და შეუძლებელია მისი გადარჩენა?

დასახული მიზანი მოითხოვს დიდ მოთმინებასა და ნებისყოფას, რწმენას, ხანგრძლივი ლოდინის უნარს. ჩამოთვლილი მოთხოვნები არ იწვევენ მაინდამაინც პოზიტიურ

რეზონანსს არსებულ სწრაფად განვითარებად ხანაში. საქართველოს, ნადირობის სექტორზე უფრო მეტად, სხვა მნიშვნელოვანი საზრუნავი აწუხებს.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ამჟამინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, სახელმწიფო ინსტიტუციების ყურადღების ცენტში ის სექტორებია მოქცეული, რომლებისგანაც მოსალოდნელია სწრაფი მოგების მიღება, ან რომლებიც ხარჯების დაზოგვის საშუალებას იძლევიან. პროექტებსა და პროგრამებს, რომლებიც ინვესტიციებს მოითხოვენ და გრძელვადიანი პერსპექტივით მხოლოდ უმნიშვნელო მოგებას აჩვენებენ, ხელშეწყობისა და წახალისების იმედი არ უნდა ჰქონდეთ. ნადირობის სექტორი არსებული მდგომარეობით არ მოიტანს მომგებიან შემოსავალს.

ზემოთქმულს კი უპირისპირდება ის, რომ საქართველო ორიენტირებულია დასავლეთეუროპულ ღირებულებებზე. ქვეყანამ ხელი მოაწერა მრავალ საერთაშორისო შეთანხმებასა და კონვენციას, რის თანახმადაც ხელმომწერი სახელმწიფოები კისრულობენ პასუხისმგებლობას ბუნებრივი მრავალფეროვნების დაცვასა და შენარჩუნებაზე. საქართველოს დასახული აქვს ევროკავშირში გაერთიანების მიზანი. ეს ნიშნავს, რომ მან ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაზე უნდა იზრუნოს.

რა როლი შეიძლება შეასრულოს ნადირობის სექტორმა ეკონომიკურ (მოგების მიღება) და ეკოლოგიურ (ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება/აღდგენა) ასპექტში? ძირითადი არსი მდგომარეობს შემდგომში: *Wise Use* – დაცვა მდგრადი მოხმარებით. ძირითად პრინციპს, რომ ბუნებრივი რესურსების ეფექტური დაცვა მოცემულია მათი ზომიერი მოხმარებით, ჰყავს ბევრი სერიოზული მომხრე. საქართველოში, რომლის მოსახლეობის 42% დაბალშემოსავლიან ნაწილს მიეკუთვნება, ეს პრინციპი მნიშვნელოვანი არგუმენტია.

საქართველოს ნადირობის სექტორში ამჟამად არსებული სიტუაცია შესაძლოა იმედდაკარგულად მოგვეჩვენოს. სხვა ქვეყნების უამრავი მსგავსი მაგალითი გვიჩვენებს, რომ ეს ასე არ დარჩება. გერმანიაშიც, ავსტრიაშიც, შვეიცარიაშიც და სკანდინავიაშიც გარეულ ცხოველთა კატასტოფულად მცირე რაოდენობამდე დასულმა მარაგმა დროთა განმავლობაში ისეთი მატება განიცადა, რომ დღესდღეობით ლაპარაკია გარეულ ცხოველთა არა თუ საკმარის, არამედ უკვე ზეჭარბ პოპულაციებზე. აღნიშნული ფაქტის უახლესი მაგალითია იტალია. იქ 100 წლის წინ ჩლიქოსნების მდგომარეობა გადაშენების ზღვარზე იყო დასული. ამჟამად იტალია ევროპის გარეულ ცხოველთა სამყაროს სიმდიდრით გამორჩეულ ქვეყნებს მიეკუთვნება.

4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მოთხოვნები

აქ ვეყრდნობი „TOR für KZE-Einsätze“, PN 07.2051.6-004.00.- ხელშეკრულებას.

4.1 ჩატარებული მოსამზადებელი სამუშაოების შეფასება

2008 წლის 6 მარტის მოხსენებაში TCP/GEO/3101 მოცემულია დაწვრილებითი და დეტალური ფაქტების კრებული საქართველოს ნადირობის სექტორში არსებული სიტუაციის შესახებ. აღნიშნული პრეზენტაციის, თუნდაც დამატებითი სამუშაოების შედეგად, უფრო დეტალირება ან გაღრმავება შეუძლებელია. ხოლო რაც შეეხება ეკოლოგიური ფაქტების მონაცემთა ბაზას (მოცულობა, გავრცელება, გარეულ ცხოველთა მარაგის მოხმარება, ან საფრთხე, რომელიც შესაძლოა ემუქრებოდეს მათ მარაგს, საბინადრო გარემოს განვითარება), იგი საკმაოდ მწირია და აუცილებლად მოითხოვს სრულყოფას.

სკეპტიკურ დამოკიდებულებას იწვევს აგრეთვე რაპორტში მოყვანილი წინადადებები სტრატეგიის შესახებ. ჩემი მოსაზრებით, ამ პუნქტთან დაკავშირებით უნდა მოხდეს შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება:

- საერთო პროცესის დაწყებამდე მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს არსებული მონაცემთა ბაზა გარეულ ცხოველთა პოპულაციების (იხილეთ ქვემოთ), მათი საბინადრო გარემოს ხარისხისა და განვითარების შესახებ.
- შესაბამისად არ არის იდენტიფიცირებული ყველა დაინტერესებული მხარე (Stakeholder). გაურკვეველია აღნიშნულ მხარეთა როლი, მნიშვნელობა და გავლენა. დაზუსტებას საჭიროებს პოლიტიკურ ქმედებათა ჩარჩო, რათა უშედეგოდ არ ჩაიაროს გატარებულმა ღონისძიებებმა, Workshop-ებმა, დისკუსიებმა და ა.შ.
- ნადირობის სექტორის განვითარების ხარისხი დამოკიდებულია მონადირეებზე. გრძელვადიან სტრატეგიაზე მათი თანამშრომლობისათვის მზადყოფნის სტიმულირების შესაძლებლობა ამჟამად ნათელი არ არის. იმედგაცრუება და პესიმიზმი შესაძლოა იმდენად დიდი აღმოჩნდეს, რომ მისი დაძლევა ვერ მოახერხოს დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებისა და საერთაშორისო დახმარებით სამინისტროს მიერ შემუშავებულმა კონცეფციამ.
- ზემოაღნიშნულ მოხსენებაში წარმოდგენილი ქმედებათა გეგმა ტოვებს „მზა/დასრულებულ“ შთაბეჭდილებას. პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილება კი გვიჩვენებს, რომ მსგავსი გრძელვადიანი პროცესის დროს ხშირად ხდება ძირითადი საკითხებისა და ამოცანების შეცვლა. შესაძლოა მოხდეს ახალი საკითხების დამატება, არსებულნი კი დრომოჭმულად ჩაითვალოს. ყოველ შემთხვევაში ასეთი პროცესი დასაწყისიდანვე უნდა იყოს ადაპტაციისუნარიანი და ღია ნებისმიერი ცვლილებისათვის.
- ეს გეგმა საკმარის ჩარჩოს ტოვებს დაინტერესებულ მხარეთა თანამონაწილეობისათვის. მიზანშეწინილია ამ ასპექტის უფრო გაძლიერება, რათა მან არ დატოვოს Top Down-მეთოდის შთაბეჭდილება (მთარგმნელის შენიშვნა: Top

Down = „ზემოდან ქვემოთ“, მეთოდის მიდგომაა: დაწყება აბსტრაქტულიდან (ან სრულიდან, ზემოდან) და ეტაპობრივად კონკრეტიზირება (ან დანაწევრება, ქვემოთკენ). ურთიერთთანამშრომლობის პრინციპს (რომელიც მრავალჯერ არის რაპორტში ნახსენები) აქვს არსებითი მნიშვნელობა.

- Roadmap-ით (ქმედებათა გეგმა) გათვალისწინებული ამოცანათა (გვ. 26, გვ. 28-ზე ცხრილი „Expected Outputs ...“) განხორციელება დასახულია ორ წელიწადში, რაც რეალობას არ შეესაბამება.

უკ დიუფის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი “Capacity building for sustainable wildlife management” (არ არის დეტალურად იდენტიფიცირებული) შეიცავს აგრეთვე არარეალისტურ, ნაწილობრივ მიუღებელ წინადადებებს (მაგალითად, გარეულ ცხოველებზე ნადირობა ვერტმფრენებიდან და ა.შ.). აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს ისეთი ხარისხის ადმინისტრაციების არსებობას, რაც ჩემი აზრით საქართველოს არ გააჩნია.

4.2 ნადირობის სექტორი: მნიშვნელოვანი აქტიორები და დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფები

დროის სიმცირის გამო არ მოხერხდა დაინტერესებული პირებისა და ჯგუფების ნუსხის შედგენა. მსგავსი ნუსხის ფორმირება ნაწილობრივ დამოკიდებულია ვითარების შემდგომ განვითარებაზე. FAO-მოსხენებაში TCP/GEO/3101 მოყვანილია მრავალრიცხოვან პირთა ჩამონათვალი, რის საფუძველზეც, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია გაკეთდეს ნუსხა და შემდგომ მოხდეს მისი სრულყოფილების (ან სხვა ასპექტით) გადამოწმება. ეს პროცესი უნდა განხორციელდეს სამინისტროსთან და GTZ-ის თბილისის ბიუროსთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით.

4.3 ნადირობის სექტორის რეფორმის ძირითადი ამოცანები

ნადირობის სექტორის ძირეული რეფორმის დაწყებამდე აუცილებელია მოსამზადებელი სამუშაოებისა და გამოკვლევის ჩატარება (როგორც ტექსტის ქვედა ნაწილშია წარმოდგენილი). მოსამზადებელი ფაზის არსებითი თემებია:

მოლაპარაკებების წარმოების ასპექტით

- სამუშაო ჯგუფის შედგენა ყველა დაინტერესებული პირისა და ჯგუფის გათვალისწინებით,
- მოლაპარაკებების პროცედურის შესახებ ერთმნიშვნელოვანი შეთანხმების მიღება,
- მონადირეთა კავშირის აქტივირება და პროცესში ჩართვა,
- (ადგილობრივი) მონადირეების მოტივირება პროგრესული და მდგრადი ნადირობის სექტორის განსავითარებლად.

სამართლებრივი ასპექტით

- ცვლილების შესახებ წინადადებებისათვის სამართლებრივი ჩარჩოს გარკვევა.

დარგობრივი ასპექტით

- გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოს ხარისხისა და განვითარების გამოკვლევა,
- გარეულ ცხოველთა პოპულაციების სტატუსის განსაზღვრა.

4.4 საკონსულტაციო გეგმის შემუშავება

საქართველოში ნადირობის სექტორისა და გარეულ ცხოველთა მდგომარეობის რეაბილიტაციისათვის მზა „რეცეპტი“ არ არსებობს. ამ ანგარიშის ჩარჩოში შეუძლებელია შემდგომი მსვლელობებისათვის კონკრეტული რეკომენდაციების ფორმულირება. აქ მოცემულია მხოლოდ რამოდენიმე მოსაზრება და სტიმული შემდგომი საქმიანობისათვის.

FAO-მოსხენების TCP/GEO/3101 „Road Map“-ში (ქმედებათა გეგმა) წარმოდგენილია საქართველოში ფუნქციონირებადი ნადირობის სექტორის ჩამოსაყალიბებლად საჭირო პროცედურის ეტაპები. Road Map-ი ითვალისწინებს აღნიშნულ პროცესში ქართული დაინტერესებული მხარეების ინტენსიურ თანამონაწილეობას, გადამწყვეტ მნიშვნელობას კი საერთაშორისო გამოცდილებას ანიჭებს. მცირე გამოწვევების გარდა ეს პროცესი შეიძლება აღქმული იქნას Top Down-პროცესად (ზემოდან ქვემოთ).

ტოტალიტარული სისტემის მრავალწლიანი ისტორიის შემდეგ, რაც თავისდაუნებურად სახელწიფოს ავტორიტეტზე შეჩვევას გულისხმობს, წარმოსადგენია, რომ Top Down-პროცესი (ზემოდან ქვემოთ) მრავალი მონაწილე მხარის წარმოდგენებს ემთხვევა. მსგავსი პოზიცია ნათლად დაფიქსირდა საუბრებში, რომლის მონაწილენიც მთელი კატეგორიულობით აკრიტიკებდნენ კანონალსრულების დაბალ დონეს.

Bottom up-პროცესისათვის (ქვემოდან ზემოთ) ნიადაგი ჯერ სათანადოდ არ არის მომზადებული. აღნიშნული პროცესის განხორციელების აუცილებელი წინაპირობებია: დაინტერესებული ჯგუფების მხრიდან (განსაკუთრებით კი ადგილობრივი მოსახლეობისგან) პრობლემატიკის სათანადო გაცნობიერება, ინტერესისა და კერძო ინიციატივის გამომჟღავნება. არ არსებობს სათანადოდ ფორმირებული სოციალური გარემო: აქტიური და გავლენიანი მონადირეთა კავშირი (რომელიც იდენტიფიცირებას აკეთებს საკუთარ წევრებთან), სხვა დაინტერესებული ჯგუფები გარემოს დაცვის, სოფლისა და სატყეო მეურნეობის სფეროდან (არასამთავრობო ორგანიზაციები), სადაც Bottom up-პროცესის (ქვემოდან ზემოთ) განვითარება მოხდება. არსებულ ვითარებაში Bottom up-პროცესის მართვა ზემოსხენებულ მონაწილე მხარეთა შესაძლებლობების ფარგლებს გასცდება. პროცესის დასაწყებად და მის წარმატებით დასასრულებლად როგორც ჩანს, არც სამინისტროებს და არც არასამთავრობო ორგანიზაციებს არ

გააჩნიათ სათანადო გამოცდილება და შესაბამისად მწირია მათი დარგობრივი კომპეტენცია. ამასთანავე სავარაუდოა, რომ სახელმწიფო სამსახურები Top Down-ის (ზემოლან ქვემოთ) მექანიზმებისკენ უფრო იხრებიან.

არც ერთი და არც მეორე პროცესისათვის ამჟამად შექმნილი არ არის შესაბამისი წინაპირობები. ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებებისა და ფაქტორების გამო დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ექსპერტების მიერ საკონსულტაციო სამუშაოების გაწევას, მაგრამ ამ რეკომენდაციების აქცეპტაცია და მათი განხორციელების ინიცირება საქართველოს მთავრობის პოლიტიკურ ნებად რჩება და ამასთანავე ქვეყნის შიგნიდან მომდინარე ინიციატივაზე დამოკიდებული.

აღნიშნულ მიზეზთა გამო და თანამედროვე სიტუაციიდან გამომდინარე აქცენტის გაკეთება უნდა მოხდეს გრძელვადიანი სტრატეგიის შესამუშავებლად საჭირო ნიადაგის მომზადებაზე: არსებული ვითარების შესახებ საინფორმაციო ბაზის მკაფიო გაუმჯობესებაზე, აღნიშნული პრობლემატიკის ყურადღების ცენტრში მოქცევაზე და პოზიტიური ქმედებების ინიცირების შედეგად სანიმუშო მაგალითების პრეზენტაციაზე (დაინტერესებული მხარეების სტიმულის ასამაღლებლად). ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციების აღქმა უნდა მოხდეს აღნიშნული კუთხით.

შემდგომი ნუსხა წარმოადგენს ცალკეული თემების კრებულს (სრულყოფილებაზე პრეტენზიისა და პრიორიტეტიზაციის გარეშე), რომლის განხილვაც მიზანშეწონილია Workshop-ებში.

მსგავსი Workshop-ები უნდა წარიმართოს პროფესიულ დონეზე (ე.ი. გამოცდილი მოდერატორის ხელმძღვანელობით სახელმწიფო ენაზე). დისკუსიები ორიენტირებული უნდა იყოს შედეგის მიღებაზე. შემდგომ კი, ამის საფუძველზე უნდა მოხდეს სახელმწიფო ინსტიტუციების და/ან დაინტერესებული მხარეების დონეზე შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება და საბოლოო ჯამში მათი განხორციელების ინიცირება. „დისკუსიებმა უნდა მიგვიყვანოს შედეგებამდე, შედეგებმა გადაწყვეტილებამდე, გადაწყვეტილებებმა კი ქმედებამდე!“ (ჰელმუტ შმიდტი, გერმანიის ყოფილი ბუნდესკანცლერი).

მიზანშეწონილია Workshop-ებში შემდეგი თემების განხილვა:

ა) ნადირობის პოლიტიკის თემები ფართო გაგებით:

4.4.1 შეთანხმება პირველ სტრატეგიულ ნაბიჯებზე

ნებისმიერი ქმედების განხორციელებამდე უნდა მოხდეს ამ ქმედების მსვლელობის სახის შეთანხმება ყველა პასუხისმგებელ სამინისტროსთან, სამსახურთან და დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფთან. ამასთანავე უნდა შეფასდეს, ქმედებებში თავისუფლების რა ხარისხს იძლევა არსებული პოლიტიკური ჩარჩო. შეუძლებელია წარმატებული შედეგის მიღწევა ერთი მხრივ პოლიტიკური ნების მხარდაჭერის, მეორე მხრივ კი არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობის გარეშე.

4.4.2 ნადირობის სექტორის სისტემა

როგორც ჩანს, საქართველოში ნადირობის სექტორისათვის ჯერ არ არის ჩამოყალიბებული მყარი სამართლებრივი ჩარჩო, რაც ადაპტაციისა და გაუმჯობესების შესაძლებლობას გვაძლევს. მოსაფიქრებელია, ნადირობის სექტორის სისტემის რომელი მოდელია საქართველოსათვის ყველაზე ოპტიმალური. მიზანშეწონილი იქნება, მაგალითად, შემდეგში ჩამოთვლილი სისტემის მოდელის უპირატესობებისა და ნაკლოვანებების, აგრეთვე მოსალოდნელი შედეგების აწონ-დაწონვა:

- სამონადირეო მეურნეობის სისტემა (გერმანია, ავსტრია, შვედეთი),
- პატენტით ნადირობის სისტემა (შვეიცარია),
- ლიცენზირებული ნადირობის სისტემა (აშშ),
- მონადირეთა კავშირის სისტემა (სლოვენია, სამხრეთ ტიროლი).

4.4.3 მონადირეთა კავშირი

კარგად ორგანიზებული და ფუნქციონირებადი მონადირეთა კავშირი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პარტნიორია კერძო (სექტორის) სფეროში. როგორ შეიძლება მონადირეთა კავშირის რეორგანიზაცია, ან რეაქტივაცია? რა ფუნქციების შესრულება შეუძლია განახლებულ მონადირეთა კავშირს – მაგალითად, ბრაკონიერობის გაკონტრილება, მონადირეთათვის საგანმანათლებლო და გადამზადების პროგრამების შეთავაზება, გამოცდა მონადირის სტატუსის მოსაპოვებლად, სანადირო სახეობებისათვის დასაშვები კვორტების დაგეგმვა?

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მონადირეთათვის სასწავლო პროგრამის, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების, ნადირობისა და იარაღის მოხმარების დარგში გამოცდის შეთავაზება მონადირეთა კავშირის ტიპიურ დავალებებს მიეკუთვნება. რა საშუალებები და ღონისძიებებია საჭირო, რომ მონადირეთა კავშირმა მსგავსი ფუნქციების შესრულება შეძლოს?

მონადირეთა კავშირის შევსება მოხდება პირველ რიგში ადგილობრივი მოსახლეობისაგან (მონადირეებისაგან), ამიტომ იგი დიდ საწევრო გადასახადებზე იმედს ვერ დაამყარებს. აქედან გამომდინარე უნდა მოიძებნოს სხვა გზები და საშუალებები, რომლებიც მონადირეთა კავშირს დამაკმაყოფილებელი ფინანსური ბაზის შექმნაში დაეხმარებიან.

4.4.4 მონადირეები

საქართველოს მონადირეებთან დაკავშირებით საჭიროა ორი სხვადასხვა საკითხის დამუშავება:

ერთი მხრივ, არ არსებობს მონადირეთა საგანმანათლებლო და დარგობრივი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ბაზა, არავისგან და არსად არ მოითხოვენ კვალიფიკაციის დამამტკიცებელ დოკუმენტაციას (არც ნადირობის დარგში, არც იარაღის მოხმარების დარგში). ამიტომ აუცილებელია სასწავლო-საგანმანათლებლო და დარგობრივი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ბაზის განვითარება, რომელიც არსებული საერთაშორისო სტანდარტების მინიმუმს შეესაბამება. სწავლებისა და ტრენინგების განვითარება უნდა მოხდეს არა მარტო მონადირეთათვის, არამედ, სპეციალური მეთოდებისა და საშუალებების დახმარებით, სამონადირეო მეურნეობების მენეჯერთათვის და ადმინისტრაციული პერსონალისათვის. აღნიშნული ბაზა ხელმისაწვდომი უნდა იყოს აგრეთვე ნადირობის სექტორით დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის. ზემოაღნიშნული მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა მონადირეებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის კონფლიქტების (რომლებსაც, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს ხშირად აქვს ადგილი) შერბილებაში.

მეორე მხრივ, აუცილებლობას წარმოადგენს, მონადირეების მომზადება ხანგრძლივადიან ამოცანაში (რომელიც დაკავშირებულია ბიომრავალფეროვნების მდგრად მოხმარებასთან, wise use – გარეულ ცხოველთა სამყაროს ობიექტების მდგრადი მოხმარება, და აგრეთვე ნადირობის თანამედროვე ეთიკას შეესაბამება) მონაწილეობის მისაღებად. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქარიზმატული პიროვნებების ზეგავლენას.

4.4.5 ნადირობის სექტორის ადმინისტრაცია

ნადირობის სექტორის ადმინისტრაცია დადგება ახალი და რთული ამოცანების წინაშე. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არსებული სტრუქტურების ანალიზი და სამომავლო ამოცანების განსაზღვრა, ისე რომ, შესაძლებელი იყოს დასახული მიზნის ეფექტურად მხარდამჭერი რეკომენდაციების განხორციელება.

4.4.6 ნადირობის სექტორის ეროვნული ინსტიტუციები

სასურველია, რომ სახელმწიფოებრივ დონეზე მოხდეს სამეცნიერო-კვლევითი, ან დარგობრივი ინსტიტუციის მოწყობა, რომელიც ხელს შეუწყობს არსებითი ღონისძიებების ორგანიზებასა და მათი განხორციელების ინიცირებას – როგორცაა მაგალითად მონიტორინგი, ნადირობის კვლევებისა და ლიმიტის გეგმების დადგენა, რეინტროდუქცია, პროგრამები ქვეყნის მასშტაბით, სამეცნიერო ნაშრომები, გარეულ ცხოველთა მენეჯმენტის ხელშეწყობა და ა.შ. აღნიშნული ინსტიტუცია დარგობრივად თვალყურს უნდა ადევნებდეს ნადირობის მთელ სექტორს და აგრეთვე კონსულტაციას

უწევდეს შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოებს პროფესიულ საკითხებთან დაკავშირებით.

მიზანშეწონილია და სანიმუშო მაგალითის მომცემი სამოდულო (სადემონსტრაციო) სამონადირეო მეურნეობების ჩამოყალიბება სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ.

ბ) დარგობრივი თემები

4.4.7 ჰაბიტატების შეფასება

ქვეყნის ფართობის კლასიფიკაცია გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოებად, გააადვილებდა სპეციფიური პრობლემების იდენტიფიცირებასა და ძირითადი ღონისძიებების განსაზღვრას (მაგალითად, რეინტროდუქცია, ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მდგომარეობის სტაბილიზაციის ღონისძიებები, ზომები ბრაკონიერობის წინააღმდეგ, მტაცებელ ცხოველთა კონტროლი და ა. შ.).

მაგალითად:

<u>საბინადრო გარემო</u>	<u>ტიპიური სახეობა</u>
აგრარული ლანდშაფტი	კურდღელი, ხოხობი, გნოლი, მწყერი
ბარის ტყეები	გარეული ღორი, შველი, ირემი
მთის ტყეები	ირემი, მურა დათვი
ალპური ზონები	ჯიხვი, არჩვი
ჭალის ტყეები და	წყალმცურავი და მენაპირე
ჭარბტენიანი ტერიტორიები	ფრინველები, გარეული ღორი

4.4.8 გარეულ ცხოველთა პოპულაციების მონიტორინგი

ექსტენსიური მონიტორინგის დახმარებით უნდა მოხდეს გარეულ ცხოველთა სამყაროს ობიექტების რაოდენობის, მათი გეოგრაფიული განაწილებისა და გადაადგილების, ნადირობის ობიექტის ან დაცვის სტატუსის მინიჭების შესახებ ცოდნის გაუმჯობესება. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვის, ახალ თოვლზე ცხოველთა ნაკვალევის მოძებნის და არასამთავრობო ორგანიზაციებთან (და სხვა მსგავს ორგანოებთან) თანამშრომლობის მეშვეობით. ამ პროცესის საწყის ეტაპზე უნდა დაგეგმავთ და დაახლოებითი მონაცემების მოძიებით, ზოგიერთი სახეობისთვის შესაძლო იქნება მხოლოდ ცნობების შეგროვება პრინციპით: „გვხვდება“, „არ გვხვდება“. ამჟამად მნიშვნელოვანი არ არის გარეულ ცხოველთა სამყაროს ობიექტების სრული აღრიცხვა და ამასთანავე შეუძლებელია ამის რეალიზირება.

პოპულაციების მონიტორინგითა და ჰაბიტატების შეფასებით შეიქმნება პირველი საწყისი ბაზა, რომელიც შესაძლოა საფუძვლად დაედოს ნადირობის სექტორის სხვა პრობლემატიკის დისკუსიებს.

4.4.9 გარეულ ცხოველთა პოპულაციების აღწარმოება

ამჟამინდელი მსჯელობები ფოკუსირებულია გარეული ცხოველების შემოყვანაზე - შემდეგ მათი ბუნებრივ გარემოში გაშვების მიზნით. გარეულ ცხოველთა პოპულაციების აღდგენა შესაძლებელია სხვა საშუალებებითაც. არალეგალურ ნადირობაზე კონტროლის მექანიზმის გაძლიერებასთან ერთად მიზანშეწონილია

- მტაცებელ ცხოველთა რაოდენობის შემცირება (მგელი, ტურა, მელა),
- მაწანწალა ძაღლების რაოდენობის შემცირება,
- დიდთოვლიან რეგიონებში ზამთარში კვების ორგანიზება (ირემი),
- ჰაბიტატების შენარჩუნება, ან მათი მდგომარეობის გაუმჯობესება (ხოსობი, მწყერი),
- გარეულ ცხოველთა რაოდენობრივი მდგომარეობის გაუმჯობესება (მხოლოდ ავტოხტონური სახეობები),
- მოშენება და რეინტროდუქცია (ფრინველები).

ჩამოთვლილი ღონისძიებებიდან ზოგიერთი არ შეესაბამება ბუნების დაცვის საერთაშორისო პრინციპებს (მაგალითად, მტაცებელ ცხოველთა კონტროლი, გარეულ ცხოველთა (გამო)კვება ზამთარში, სახეობების მოშენება, ცხოველების შემოყვანა და შემდეგ ბუნებრივ გარემოში გაშვება) და ამიტომ მოითხოვენ ღია დისკუსიის წარმართვას ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით.

4.4.10 გარეულ ცხოველთა პოპულაციების მენეჯმენტი

გარეულ ცხოველებზე (რომლებიც არ არიან წითელ ნუსხაში შეტანილი და ნებადართულია მათზე ნადირობა) ნადირობა ისეთი სახით უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მან ცხოველთა პოპულაციებს საფრთხე არ შეუქმნას და ამავედროულად შეასრულოს ნადირობის სექტორის მიზნები. აღნიშნულ მიზნებში იგულისხმება: სატროფეო ნადირობა (ტროფეის მოპოვება), სარეწაო ნადირობა (ხორცის მოპოვება) და შემოსავლები სამონადირეო ტურიზმიდან. აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის უფლება ნადირობაზე.

საუბრებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, გარეულ ცხოველთა მენეჯმენტის შესახებ ცოდნა და გამოცდილება ყველა დონეზე ნაკლოვანია.

ზემოსხენებული მოსაზრებებისთვის მოქმედების თავისუფლების ჩარჩოს გვაძლევენ მხოლოდ ჯიხვისა და არჩვის პოპულაციები სამხრეთ კავკასიაში და შესაძლოა აგრეთვე დათვის პოპულაციებიც (თუ წითელი ნუსხის სტატუსს არ გავითვალისწინებთ). გაურკვეველია „წვირლ გარეულ ცხოველთა“ მდგომარეობა (მთარგმნელის შენიშვნა:

„წერილი გარეული ცხოველები“ ისტორიული ტერმინია და მოიცავს გარეულ ცხოველთა იმ სახეობებს, რომლებზეც წარსულში დაბალ არისტოკრატიასაც ჰქონდა ნადირობის უფლება. საპირისპირო ტერმინია „მსხვილი გარეული ცხოველები“ – აქ იგულისხმება ცხოველთა ის სახეობები, რომლებზეც მხოლოდ მაღალ არისტოკრატებს ჰქონდა ნადირობის უფლება).

4.5 TOR-ის ფორმულირება შესაძლო შემდგომი სამუშაო ვიზიტისთვის

შესაძლო შემდგომი სამუშაო ვიზიტები შეთანხმებული უნდა იქნას თბილისში პროექტის ხელმძღვანელობასთან.

gtz



With the financial support of
Federal Ministry
for Economic Cooperation
and Development

Sustainable Management of Biodiversity

South Caucasus

Programme Office

Ministry of Environmental Protection and Natural Resources

6, Gulua St, 6th. fl – 0114 Tbilisi – Georgia

T: +995-32-201828

www.gtz.de

© Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH, 2010